# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 260. კვირა, 20 მარტი 1911 წ. დამატების № 45




„ზღვის ქალი", — სურათი პაპერიცისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვენება და სიყვარული

დრამატიული პოემა სამ ნაწილად.

(შემდეგი *)

(შემოდის სიყვარული. სახეზე ნამცეცი ფერი აღარ აძევს)

**სიყვარული.** მე შენ გიგონებ, ცის შვენებაო,
ღამეს მიმქრალსა, თუ ნათელ დღესა;
გავიასკეცე ოხვრა-ვაება,
მიწის წიაღსა წავართვი კვნესა
და მსურს მარადის ცრემლად ვდნებოდე,
სიცოცხლეს ჩემსა ვესალმებოდე;
ვითა პეპელა ყვავილს, აგრეთვე
მეც შენს სიცოცხლეს გარს ვევლებოდე!..
(ხის ძირს მიესვენება)
მახსოვს, აი აქ ვისხედით ორნი,
სულით და გულით შეერთებულნი;
თვალს ვადევნებდით ვარსკვლავთა სრბოლას,
სოფელ-ქვეყანას დაშორებულნი.
ლურჯად გადაშლილ ცის კამარაზე
მთვარე ნელიად მიმოსცურავდა.
ღრუბელი-ღრუბელს ჩაჰკონებოდა
და ნეტარების ცრემლსა სწურავდა.
სიჩუმე იყო... ქარი არ ჰქროდა...
ნიავს შრიალი დაჰვიწყებოდა;
ხისა ფოთოლი არ ირხეოდა,
ტყე, მწვანეთ შლილი, ძილს მისცემოდა!..
ოჰ, რა კარგია ბუნების მზერა,
როს ბადრი მთვარე დაჰმზერს ტყე-ველსა;
გული ქვითინებს შვებით აღვსილი,
სული ეძლევა სასუფეველსა.
მაშინ, ვინც გიყვარს, გსურს ზე დაადნე,
ორი არსება გარდაქმნა ერთად;
მისცე ტანჯვანი დავიწყებასა
და ის გახადო შენ სულის ღმერთად!
მაგრამ ყოველსა ბოლო ჰქონია...
სიხარულსა სცვლის-ნაღველ—სიმწარე.
დღეს თუ გინათებს, ხვალ ჩრდილს გადიფენს
და დაბნელდება შუქმფენი მთვარე.
ასრევ დაბნელდა ჩემთვის ყოველი!
ვაიმე ტანჯულს, ვაჰმე წამებულს;
საით მოვძებნო სევდის წამალი,
ვინა მცემს ნუგეშს სულს დაობლებულს!..
მოსძებნეს გრძელი ზღვისა წონისა
ბოროტ-სულებმა, გააკრეს ცასა,
გაუშვეს ხელი და სასიკვდილოდ
ზეცით დასტყორცნეს ჩემს ბედ-შავ თავსა.
ვითა მომაკვდავს,—სული მიკვნესის...
გული მიტირის, ოხრავს, ვალალებს;
სისხლის ცრემლითა ვათევ დღე-ღამეს!..
ძილი გამიკრთა... ვაი ჩემს თვალებს!..
ძალო, უხილავ ღამის შუქმფენო,
ცით ნათლის სვეტად გადმოშვებულო;
სოფლის მეუფევ, მიუკარებო,
სულის სალხენად გაბრწყინვებულო,
გამომიწოდე ხელი მაშველი,
განკურნე ჩემი მაცოცხლებელი;
ან მასთან მომკალ, ნუ განმაშორებ,
მსურს ერთი გვქონდეს სამკვიდრებელი!..
(ფერიები წინ წამოდგებიან)

**1 ფერია.** მისმინე ჩემო! გაზაფხულის ჟამს
თბილი ჰაერი რა დაჰქროლავს ველს,—
ტყე, მთა და ბარი აყვავილდება
და სასიცოცხლოდ გაშლის მკლავს და ხელს!
ქვეყანა მიშინ ჰგავს სამოთხესა,
ჯერ არ ნახულსა, მიუწდომელსა;
სიცოცხლის წყარო ჰარბად ჩუხჩუხებს
და შვების ცრემლი სცვივა ყოველსა.
მაგრამ წამოვა შემოდგომისა
გრივალი მკაცრი, შეუპოვარი,—
ტყე გაიცრცვნება და ნიავ-ქარსა
შორს გადაჰყვება ფოთოლი მჭკნარი!..
ულვთოდ კვდებიან ტურფა ყვავილნი,
შემამკობელნი გაზაფხულისა;
მოგონებალა გვიტკბობს სიცოცხლეს
და წუთის შვება მოკლულ გულისა!..
გამოცანაა ამ სოფლის სახე:
ხან შვება იცის, ხან სივაგლახე!

**4 ფერია.** ასეთი არის თვით ბედის წერა!

**სიყვარული.** მიწამებია... ოჰ, მრწამს და მჯერა!

**2 ფერია.** მოკრიალებულ ცის კამარაზე
ვარსკვლავნი კრთიან—თვალ-ლამაზები;
უხსნიან ერთურთს სევდა—კაეშანს,
სიცოცხლის მნათნი და მალხაზები.
შავი ღრუბელი, ვით გველეშაპი
აეფარება, სულს გაუმწარებს;
ამაოდ ეძებთ ცისა სივრცეში,
აღარ აშუქებს, აღარ ნარნარებს!..
გამოცანაა ამ სოფლის სახე:
ხან შვება იცის, ხან სივაგლახე!

**4 ფერია.** ასეთი არის თვით ბედის წერა!

**სიყვარული.** მიწამებია... ოჰ, მრწამს და მჯერა!

**3 ფერია.** რაც ერთხელ კვდება, იმავე სახით
აღარ ცოცხლდება, არ დაბრუნდება;
პირველი წუთი, მეორეს არ ჰგავს,
რაც ერთხელ იყო, არ მეორდება.
თუ კი სიკვდილსა ვერ ავიცილებთ,
რა გვაქვს საგლოვი და სამწუხარო?
მკვდარს ვერ აღადგენს ოხვრა-წუხილი
და ვერც ნაფრქვევი თვალთგან ცრემლთ წყარო!..
ვერ შეეჩვია ადამიანი
სიკვდილის პირის გულ-გრილად ცქერას
და რა მის სახელს გაუხსენებენ,
გულს იკლავს და სწყევს თვის ბედის წერას!..
ავადმყოფს ჰფეროზბს მოვლა, ნუგეში...
თუ ვერ განკურნე, ნუ დაღონდები!
ტირილით მკვდარი ვინ გააცოცხლა,
მას რაა, შენ თუ ზე დაადნები?..
შენი შვენება განიკურნება,
მხოლოდ მსხვერპლია მისთვის საჭირო...
გადაიკეტე კარი ოთახის
და ვინძლო ცრემლი არ დააძვირო!
იტირე ვიდრე სადაფის სურა
აივსებოდეს პირამდისინა,—
მერე მიუტა შენს სულისა ღმერთს
და დაანახე, დაუდგი წინა...
სიხარულია რომ არჩენს სნეულს,
თითონ სიცოცხლეც სიხარულია...

*) იხ. სურათებიანი დამატება № 44.

არა, უმსხვერპლოდ მისი მორჩენის
ყოველივე ცდა დაკარგულია!
**სიყვარული.** ცრემლი აღარ მაქვს, ვაიმე ბედკრულს:
სისხლით ავავსებ, გავიგმირავ გულს!
**ფერიები.** არა, ტირილით განიკურნება...
ნუ ნაღვლობ; ცრემლი დაგედინება!
**სიყვარ.** ზეცას ვთხოვ, მე ეგ შემაძლებინოს!
მშვიდობით! როცა ფრენას დაიწყებთ,
ამ არე-მარეს კიდევ დახედეთ,
კიდევა მნახეთ, ნუ დამივიწყებთ!
(წავა)
**ფერიები.** რაც ვიფრინევით გვეყოფა, კმარა,
ჩვენ ჩვენი ბინა მოვნახოთ ჩქარა!
(გაფრინდებიან)
**ძიძა.** ჩემს წინ ყოველი ჰყვავის, იშლება,
მზე მანათობლად სულს ეფინება;
ნუ თუ სამოთხის კარსა ვიხილავ, —
ჩემი შვენება განიკურნება?..
ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ქვეყნის გამჩენო,
გადმოგვხედევი და შეგვიბრალე;
განფანტე ბნელი და ღამის ბინდი
მოკაშკაშე დღეთ, გვედრი, შესცვალე...
(დაჩოქილი ლოცულობს)
**შიში.** (ისევ ხეზეა) ყვავილს სძინავს,
შუქს ჰფენს მთვარე;
სხივი ჰფრინავს
მოელვარე.
ცა კაშკაშებს
და ნარნარებს,
ათამაშებს
ვერცხლის ცვარებს.
მაგრამ დაჰკრავს
ტაშს გრიგალი;
ველს დაჰფარავს
ცეცხლის ალი;
სეტყვა მოვა,
ქვას გასტეხავს,
ტანჯვა-გლოვა
გულს დამეხავს.
ერიდეთ შავს
ღამის წყვდიადს;
ის დალეწავს
თქვენს განთიადს!..

### ნაწილი მეორე

**ოთახი**

**სიყვარული.** (მაგიდასთანა ზის; წინ სადაფის სურა უდგას. ტირილ-ვაებისაგან უფერული მიდუღდა. სარკმელში გიდაცას მისჩერებია).
**სევდა.** (სარკმელ გარეთა სდგას და სიყვარულს თავისთან იწვევს).
**შიში.** (ოთახის კუთხეშია მიმალული).
**სიყვარული.** (სარკმელს მისჩერებია).
შუა ღამის ჟამს, როცა ყოველსა
სძინავს განცხრომით, უდარდელადა, —
შენ ჩემსა სარკმელს მოსჩერებიხარ
და მიწვევ შენთან საკოცნელადა.
გაცრეცილი ხარ ვით ალასფერა,
მისებრ შავ-ფიქრით გარე-მოცული;
გულს მიპოვს შენი სახე საზარი
და მაგონდება ქრისტე, ჯვარ-ცმული.
შუბლიდან კანი გადაგძრობია,
ღაწვნი ცრემლთაგან დაგღურჯებია;
სიცოცხლის წყარო მთლად დაგზრობია,
ყოველი ასო დაგბერებია.
თვალნი მაგონებს ყრუ, უდაბურ ველს,
სად ქარიშხალი ჰქრის და სისინებს;
ეგ უფსკრულია უძირ-უპირო,
რომლის შეხედვა ჩვენ გულს გვიშინებს.
მითხარ, ბედ-კრულო, წანჯულო სულო,
რად მომევლინე ამ შუა-ღამეს?..
რას ითხოვ ჩემგან, სთქვი! და თუ ძალმიძს
მე მოგანიჭებ სიტკბო-სიამეს!..
**სევდა.** (სარკმელს გარედან).
მყუდრო ღამეა... სძინავს ნიავსა...
არც ქარი ჰქრის და არც ქარიშხალი;
შენც დაიძინე, მე გეტყვი ნანას,
შენც დაიძინე, დახუჭე თვალი.
ტკბილი იქნება ჩემი ნანინა,
ვით ტკბილი არის ძუძუ დედისა;
მწარე იქნება ჩემი ნანინა,
ვითა ლენცოფა მაღალ ქედისა.
თუ ძილ ში გულმა კვნესა დაგიწყოს,
არ წამოიჭრა ლახვარ სობილი...
წყლულზე იარას ნულა დამადებ, —
ისეც ტანჯვით ვარ წარმოშობილი.
მყუდრო ღამეა... სძინავს ნიავსა..
არც ქარი ჰქრის და არც ქარიშხალი;
შენც დაიძინე, მე გეტყვი ნანას,
შენც დაიძინე, დახუჭე თვალი!..

—

მე სევდა მქვიან! ამა მსოფლიოს
ტანჯვის ცეცხლით ვწვავ, ვაცრემლიანებ;
ტუჩზე ღიმილი არ მეკარება,
ყოველ სულ-დგმულსა ვასევდიანებ.
ვისაც სულს უღრღნის არარაობა,
იგი ჩემია, გულს ვეკონები;
მე მის გარეშე არარა მწამს-რა,
ვიმონებ, ვეტრფი და ვემონები.
ან და რას ნიშნავს ადამიანი,
მის წარმოშობას რა აქვს საგანი?!
თუ ის მეფეა მსოფლიოისა,
მაშ გულს რად უღრღნის ოხვრა-ტანჯვანი?!
დაბადებისა არა იცის-რა,
აშინებს ლანდი მომავალისა;
დღეს ერთი მოსწონს, ხვალე მეორე, —
დამკარგავია გზა და კვალისა!..
კაცობრიობა ჩემსკენ ისწრაფვის,
მეფე ვარ ქვეყნის ყოვლად ძლიერი;
ჩემს წინ ყოველი პირქვე ემხობა,
მეფე ვარ, მეფე კანონიერი!..
მხოლოდ იმედი ხალხს ასულდგმულებს
და თუ იმედის კარიც დაუხშე, —
ცა, ზღვა, ხმელეთი და თვით ვარსკვლავნი
დაემხობიან ჩემსა წინაშე.
ისმინე, ყრმაო, გრწამდეს, გჯეროდეს:
არარაობა არის ყოველი;
არარად ქმნილა ქვეშ დედამიწა
და ზევით ზეცა სხივთა მთოველი.
მთვარე ანათდა — ჩაჰქრა, წაყიდა,
მზე ანათებს და ისიც ჩაჰქრება
და ღერძი ამა წუთი-სოფლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიგვება და სრულად გაჰქრება.
თუნდაც იცოცხლოს კაცობრიობამ,
რისთვის იცოცხლოს? სად ვის რა არგოს?..
ნუ თუ მას ძალ-უძს სამარადისო,
იოტის მგზავსი რამ მაინც დარგოს?!
სამარადისო არა არის-რა,
არცა ყოფილა და არც იქნება:
ყოველი არსი სახეს შეიცვლის,
ყოველი არსი გარდაიქმნება.
სიყვარულს სახავთ უმაღლეს განძად,
ღვთის ტახტად აგყავთ უმანკოება,
მაგრამ რა არის თვით სიყვარული,
თუ არა ოდენ ამაოება?!
ვარდს ვმზერ ბაღნარში ტურფად გადაშლილს,
მსურს ახლოს მისვლა, ვაჰ, არ მიშვებენ;
აწ სადაც არის შემშლის გონება,
არც მიბრალებენ, არც მიცოდებენ.
ზარით, ვაგლახით ვიხმობ ყოველხა,
ზეცას ავსტირი, ქვესკნელს ჩავყვირი;
არავინა მყავს ხელის მომცემი,
არავინა მყავს შემივსოს ჭირი! .
ვარდო, შენ ჩემო გულის ყვავილო,
მხოლოდ ჩემთვის ხარ დანაბადები;
გვედრი—მიმიშვი, დამიახლოვე,
გულს ნუ მიკოდვენ შენი ბარდები.
გამეხსნა ზეცა-ვარდი მიღიმის!
ის თანახმაა!.. უახლოვდები!..
აჰა, მოვწყვიტე თავის ბუჩქიდან
და ოხვრა-კვნესით ზე ვეკონები...
მაგრამ, ვაიმე! ჩამიჭკნა ხელში!..
დაღონებული დავცქერ მდუმარე
და მსურს მარადის ციურ ცვარ-ნამად
ვაფრქვიო თვალთგან ცრემლი მდუღარე!..
ჰა, სიყვარულის წვავე სურათი,
ისიც ვარდსავით უეცრად კვდება;
რა რომ მიახწევ, გულს დაცაიჭკნობს
და აღარ, აღარ ჲყვავილდება.
ისმინე, ყრმაო, გრწამდეს, გჯეროდეს:
არარაობა არის ყოველი;
არარად ქმნილა ქვეშ დედამიწა
და ზევით ზეცა სხივთა მთოველი!..
(გაჰქრება)

**სიყვარული.** (დიდ ხანს დაფიქრებულია).
ნეტავ რას მეტყვის მე ეს სევდის ხმა?..
თუ ამაოა ქვეყნად ყოველი,—
რისთვის და ვისთვის უნდა ვიცოცხლო,
რით ვინეტარო, სად რას მოველი?..
ვინც მიყვარს იგი ხელით მეცლება,
ღამეებს ვათევ ცრემლის ფრქვევითა;
სადაფის სურო ნახევრად არის,
ცრემლი აღარ მაქვს, ვსტიროდე ვითა?..
სულ შემხუთავო, ღამის წყვდიადო,
ჩემსა გულის ჭირს მიესალამე;
დეე, მთლად დავდნე, გავავსო სურა
და დამელიოს სულის ძალა მე
მას თუ უშველი, არას ვინაღვლი,—
შუა გაიყოს ჩემი არსება...
ის არის ჩემი მაცოცხლებელი,
მხოლოდ მას ძალ-უძს ჩემთა ცეცხლთ ვსება!..
შენ მყვარებოდი, მზისა მზრდილაო,
მენატრებოდა მომკვდარ დღიანსა,
რომ არასოდეს დავშორებოდი
ჩემს სამლოცველოს სახეს ღვთიანსა.
და როს გავიგებ: განშორდი სოფელს,
გულს ნაცრად ვაქცევ შენთვის დაგულსა,
შევკრებ ამ სოფლის სევდა-კაეშანს,
გარდავეშვები უფსკრულთ-უფსკრულსა,—
ვიტირებ ვიდრე ისმენდე ჩემს ხმას,
ვიტირებ ვიდრე შენ ხმას შემასმენ;
ქარს შევებრალვით და სულიერად
ის თავის ფრთებით შეგვაერთებს ჩვენ.

**ძიძა.** (შემოდის).
სიკვდილის პირად არის შვენება,
უშველე ჩქარა, უშველე, შვილო!

**სიყვარული.**
ცრემლი აღარ მაქვს, დაშრა თვალები,
მიშველე, ძიძავ, ძიძავ კეთილო!..
მწარეთ მოსთქვამდე, მეც მატირებდე,
მთლად ცა-ქვეყნის ჭირს მომაგონებდე;
გებრალებოდეს შენი გაზრდილი,
ჩემთან იტანჯე, ჩემთან დნებოდე!..
(დაეყრდნობა სურაზე და სტირის)

**ძიძა.** (მოსთქვამს)

I

სტირდა ბაღში იადონი,
დაეძებდა მთვარის სხივებს;
გულში ლახვარ განაწონი,
აგორებდა ალმასთ მძივებს.
შეიბრალეთ! აღარ არი
იადონი ტკბილ-ხმიანი!
ბულბულისა მეგობარი
და მისებრივ სევდიანი!..

II

წალკოტშიგან ნარგისია,
ფერად მგზავსი შვენებისა,
ხელ-უხლები... არვისია
ღირსი ავად ხსენებისა.
მოვა წვიმა, სეტყვის დარი,
დაჰკრავს ქარი, დაცააჭკნობს,—
დაემხობა მთლად ბაღნარი,
ზაფხულის პირს ვერ შეამკობს!..

III

ასე ჰკვდება... ასე ჰქრება...
სიამე და ნეტარება;
რაცა სცოცხლობს აღიგვება,
თვით სიკვდილიც კი მოჰკვდება!
მაშ სტიროდეთ სოფლის ბოლოს,
სიცოცხლისა აღსასრულსა;
კაეშანმა დე იქროლოს
და ცრემლები მოსწყდეს გულსა!..

**სიყვარული.**
იტირე, ძიძავ, ივსება სურა,
ჰა, სისხლის ცრემლი შიგ ეწვეთება...
მისმინე, ღმერთო, დამწვი, დამდაგე,
გამიძლიერე სულის კვეთება!..

**ძიძა.** (კვალად მოსთქვამს).

**ბ. ახოსპირელი.**

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“